

## ClimateofChange-ის დასკვნითი კონფერენცია: სოციალური სამართლიანობა

სამწლიანი აქტივობების შედეგად, DEAR პროექტის ფარგლებში განხორციელებული Climate Of Change-ის ბოლო კონფერენცია 2023 წლის 27 მარტს დაიწყო.

ღონისძიებამ სახელწოდებით „სამოქალაქო საზოგადოების დიალოგები სოციალურ და კლიმატურ სამართალოზე“, შეკრიბა მეცნიერები, პოლიტიკოსები, გლობალური სამხრეთის აქტივისტები და ახალგაზრდების წარმომადგენლები, რათა განეხილათ კლიმატის კრიზისით გამოწვეული დიდი ადამიანური და სოციალური გამოწვევები.

კონფერენცია მოიცავდა ორ მთავარ პანელს. პირველი პანელი დაეთმო დებატებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მიგრაციის შესახებ ბოლონის უნივერსიტეტის გუნდის მიერ წარდგენილ იქნა პროექტის განხორციელების პირველი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილება არის და იქნება მიგრაციის მთავარი მიზეზი მთელს მსოფლიოში, ჟენევის პაქტის თანახმად, ჯერ კიდევ არ არსებობს სპეციალური სტატუსი იმ მიგრანტებისათვის, რომლებიც ამ მიზეზით ტოვებენ ქვეყანას .

პანელის მეორე ნაწილი დაეთმო პრეზენტაციებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. გერმანიის Oxfam-ის მკვლევარმა ლუკას ვორნიგმა ნათლად გაუსვა ხაზი კაპიტალისტური საზოგადოების საფრთხეებსა და მანკიერებებს.

გენდერისა და ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე მკვლევარმა კარინ შიონპფლუგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კლიმატის ცვლილება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გარემოსდაცვითი კრიზისი.

**იხილეთ დასკვნითი კონფერენციის ვიდეო!**

ALDA არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობდა კონფერენციის ორგანიზებაში, არამედ აქტიურად იყო ჩართული კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გამართულ ღონისძიებებში. ALDA-ს ოთხმა წევრმა მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში.

1) მარსელო გერლახი, **CRISP-ის** მკვლევარი კლიმატის ცვლილების საკითხებში, გერმანია, 2) კონსტანტინე კაკავა, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის** მერის მოადგილე, საქართველო; 3) ნაზლიჯან აკჯე, ტრენინგებისა და პროექტების ექსპერტი **მარმარის მუნიციპალიტეტიდან**, თურქეთი; და 4) შევქეთ ქაან ედიზი, კვლევისა და განვითარების დირექტორატის ოფიცერი **კონაკის მუნიციპალიტეტიდან**, თურქეთი.

ღონისძიება დასრულდა კამპანიის **ახალგაზრდული ელჩების** მიერ **კლარა დე ლა ტორეს** (ევროკომისიის დირექტორის მოადგილე კლიმატის საკითხებში) კლიმატის ცვლილების შესახებ **პეტიციის** განხილვით. პეტიციას ხელი მოაწერა ევროკავშირის 100 000-ზე მეტმა მოქალაქემ, იგი ითხოვს რიგ ქმედებებს კლიმატის სამართლიანობისთვის, რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდეს სამ ძირითად პუნქტად: 1) გლობალური დათბობის შენარჩუნება 1.5°C-ზე ქვემოთ კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევით 2040 წლისთვის, 2) *ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა* 3) *კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული მიგრანტთა უფლებების დაცვა და ახალგაზრდების ჩართულობა.*

[იხ. ვიდეო.](#)